გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის

სხდომის ოქმი N 16

ქ. თბილისი, 2017 წლის 12 აპრილი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ქეთევან ციხელაშვილი** - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, კომისიის თანათავმჯდომარე;
2. **ირაკლი მატკავა** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის წარმომადგენელი);
3. **კახაბერ გულედანი** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;
4. **პეტრე კანკავა** - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი;
5. **პაპუნა შენგელაია** - ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;
6. **ზაალ კაპანაძე** - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;
7. **გოჩა ლორთქიფანიძე** - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;
8. **მამუკა ცოტნიაშვილი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;
9. **ლია გიგაური** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;
10. **სოლომონ პავლიაშვილი** - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი;
11. **ეკატერინე სისაური** - საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, კომისიის წევრი;
12. **გიორგი თუმანიშვილი** - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

13. **შალვა კერესელიძე** - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის წევრის გიორგი ხანიშვილის წარმომადგენელი);
14. **დავით შარიქაძე** - საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკული დეპარტამენტის უფროსი (კომისიის წევრის ილია ელოშვილის წარმომადგენელი);
15. **ნათია გულუა** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (კომისიის წევრის გიორგი კაკაურიძის წარმომადგენელი);
16. **ბესიკ მაცაბერიძე** - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის წევრის ლევან ხარატიშვილის წარმომადგენელი);

მოწვეული სტუმრები:

1. **ნიკოლოზ როსებაშვილი** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
2. **გიორგი კობერიძე** - საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი;
3. **გოჩა გოჩიტაშვილი** - კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
4. **გიორგი გურასპაშვილი** - ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
5. **ვაჟა ჩოხელი** - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
6. **გიორგი ლუკავა** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;
7. **ლაშა გოგია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
8. **დავით ონიაშვილი** - გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
9. **გივი ზურაბაშვილი** - დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
10. **გელა ზოზიაშვილი** - ტერიტორიული მთლიანობის ექსპერტი, პარლამენტი;
11. **გიორგი მოსიძე** - პარლამენტის წევრი;
12. **პაატა კვიჟინაძე** - პარლამენტის წევრი;
13. **ზაქარია ქუცნაშვილი** - პარლამენტის წევრი.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №257 დადგენილების (2013 წლის 4 ოქტომბერი) დანართი N2-ის, მუხლი 4-ის, პუნქტი 4-ის შესაბამისად კომისიის სხდომა უფლებამოსილი იყო კომისიის წევრთა და მათ წარმომადგენელთა ნახევარზე მეტის დასწრებით. ამავე დადგენილების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის

შესაბამისად კომისიის სხდომას უძღვებოდა **კომისიის თანათავჯდომარე - ქეთევან ციხელაშვილი.**

<u>განიხილეს:</u>

I. **კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრა;**
(მომხსენებელი: სხდომის თავმჯდომარე - ქ. ციხელაშვილი)

.....

სხდომის თავმჯდომარემ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კომისიის მდივნის შვებულებაში ყოფნის გამო კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის მიზნით კომისიას შესთავაზა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართელოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, კომისიის წევრის გიორგი თუმანიშვილის კანდიდატურა.

.....

გადაწყვიტეს:

1. კომისიის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისროს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართელოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, კომისიის წევრს გიორგი თუმანიშვილს.

II. **გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის 2016 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვა**
(მომხსენებელი: სხდომის თავმჯდომარე - ქ. ციხელაშვილი)

.....

სხდომის თავმჯდომარემ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კომისიის წევრებს წარუდგინა კომისიის მიერ 2016 წელს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგების, განათლების, მეწარმეობის, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული საქმიანობები. კომისიის წევრებმა ლია გიგაურმა, სოლომონ პავლიაშვილმა და გელა ზოზიაშვილმა დამატებით ისაუბრეს ამავე სოფლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

.....

გადაწყვიტეს:

1. კომისიამ ერთხმად მოიწონა სამთავრობო კომისიის 2016 წლის საქმიანობის ანგარიში;
2. ეთხოვოს კომისიის მდივანს უზრუნველყოს აღნიშნული ანგარიშის საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა.

III. გამყოფი ხაზის მიმდებარე ცალკეულ სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება

(მომხსენებლები: მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები)

.....

გორის, ქარელის, კასპის, ხაშურის, დუშეთის, საჩხერის, ზუგდიდის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა კომისიის წევრებს მიაწოდეს ინფორმაცია მათ მუნიციპალიტეტებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმდინარე პროექტებზე, ასევე ინფორმაცია მომავალში დაგეგმილი და განსახორციელებელი პროექტების შესახებ.

პარლამენტის წევრმა ბატონმა პაატა კვიჟინაძემ, ხაზი გაუსვა სოფელ პერევთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის აუცილებლობას და კომისიას მიმართა თხოვნით მის სარეაბილიტაციოდ დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიების შესახებ.

კომისიის წევრმა კახაბერ გულედანმა, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს მიმართა თხოვნით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარმოადგინონ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისათვის პრიორიტეტული პროექტები, რათა შესაძლებელი გახდეს მათი შესწავლა და შესაბამისი ფინანსების მობილიზება.

.....

გადაწყვიტეს:

1. ეთხოვოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარუდგინოს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები პრიორიტეტების მიხედვით, მათი დეტალური შესწავლისა და შემდგომ ამ პროექტების განხორციელების შესაძლებლობების შესახებ საკითხის კომისიის მომდევნო სხდომაზე განხილვის მიზნით.

IV. ინფორმაცია გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში სასმელი წყლის, საირიგაციო სისტემებისა და ჭაბურღილების მოწყობის თაობაზე

(მომხსენებელი - საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი გიორგი კობერიძე)

.....

მომხესნებელმა კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია 2016 წელს გამყოფი ხაზის მიმდებარე ცალკეულ სოფლებში წყალმომარაგების სისტემების მოწესრიგების შესახებ. კერძოდ, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ გორის მუნიციპალიტეტის 8 სოფელში (დიცი, ქორდი, მერეთი, ფლავი, ფლავისმანი, ფხვენისი, ზემო სობისი, წითელუბანი) და კასპის მუნიციპალიტეტის 2 სოფლეში (ხვითი, ბოჟამი) მოეწყო წყალმომარაგების ჭაბურღილები, საქლორატოროები და სადაწნეო კოშკურები. ამათგან, სამ სოფელში მოწესრიგდა ასევე წყალმომარაგების ცენტრალური მაგისტრალი და შიდა ქსელი. აღნიშნული სამუშაოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის მოცულობამ შეადგინა 3 მილიონი ლარი. მომხენებელმა, ასევე აღნიშნა რომ, არსებული ჭაბურღილების სათანადო ფუნქციონირებისათვის და მოსახლეობის მუდმივი წყალმომარაგებით უზრუნველყოფისათვის აუცილებელია შიდა ქსელების მოწყობა და ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

გელა ზოზიაშვილმა კომისიის წევრებს მიაწოდა ზოგადი ინფორმაცია სასმელი წყლის და სარწყავი სისტემების მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ სარწყავი სისტემის 80% მზადყოფნაშია, რაც სეზონის დაწყებისას იძლევა მათი გამოყენების შესაძლებლობას. ასევე, დამატებით წარმოადგინა გორის, კასპის და ქარელის მუნიციპალიტეტების 19 სოფლის ნუსხა, სადაც არსებობს ჭაბურღილების მოწყობის აუცილებლობა.

.....

გადაწყვიტეს:

1. ეთხოვოს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას წარუდგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამყოფი ხაზის სოფლებში სასმელი წყლის შიდა ქსელების, საირიგაციო სისტემებისა და ჭაბურღილების მოწყობის საკითხზე პრიორიტეტების მიხედვით დალაგებული პროექტების ნუსხა მათი დეტალური შესწავლისა და შემდგომ ამ პროექტების მიმდინარე წლის ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელების შესაძლებლობების შესახებ.

V. **2008 წლის ომის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია ან ამ სახლების მესაკუთრეთათვის კომპენსაციის მიცემა, რომლებსაც სახელმწიფოსგან აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით არ მიუღიათ არანაირი დახმარება.**

(მომხსენებლები - მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები)

.....

გორის მუნიციპალიტეტის გამგებლმა კომისიას წარმოუდგინა ინფორმაცია სოფელ ზარდიანთკარში ომის შედეგად დაზარალებული საცხოვრებელი სახლების მდგომარეობის შესახებ. მთლიანად ჯამში აღწერილი იქნა 43 სახლი, აქედან 9 სრულიად განადგურებულია და საჭიროებს თავიდან აშენებას. 34 კი ექვემდებარება რეაბილიტაციას. სამუშაოების საერთო ღირებულება სავარაუდოდ შეადგენს 758 000 ლარს. მან ხაზი გაუსვა ასევე გორის საბავშვო ბაღში შესახლებული ოჯახების სხვა ადგილას დროებით განთავსების აუცილებლობასაც.

.....

გადაწყვიტეს:

1. სამუშაო ჯგუფის ფორმატში გაიმართოს შეხვედრები/კონსულტაციები ცალკეულ სამინისტროებთან/სახელმწიფო უწყებებთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და დონორ ორგანიზაციებთან დაზარალებული მოსახლეობის დაზიანებული საცხოვრებლების რეაბილიტაციის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კომპენსაციის მიცემის საკითხების შესახებ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გადაწყვეტილებების შემუშავების მიზნით.

VI. **სხვადასხვა**

1. **ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბში და სოფელ თამარაშენში ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის მიზნით 26 ოჯახის 200 ლარიანი გაზის ვაუჩერის გარეშე დარჩენის საკითხის განხილვა.**

.....

ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით სოფელ დირბში 21 ოჯახს და სოფელ თამარაშენში 5 ოჯახს არ დაერიცხათ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებით სამთავრობო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი გაზის 200 ლარიანი ვაუჩერი. აღნიშნული გამოწვეული იქნა იმ გარემოებით რომ ამ ოჯახებს

სოფლის საერთო გამრიცხველიანებამდე საკუთარი სახსრებით ჰქონდათ შეყვანილი გაზი, რამაც კომისიისთვის წარმოდგენილ დასაფინანსებელ ოჯახთა სიაში ვერ ჰპოვა ასახვა. სწორედ, ეს გახდა მიზეზი იმისა რომ ამ ოჯახებს არ დაერიცხათ შესაბამისი დახმარება.

ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა რომ, გათბობის უზრუნველყოფის მიზნით თანხების განაწილების პროცესი დასრულებულია და შესაბამისად მთავრობის მიერ გამოყოფილი სახსრები ამოწურულია.

კომისიის წევრებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ 26 ოჯახისათვის გამოსაყოფი სახსრები არაა კრიტიკული მოცულობის (ჯამურად 5200 ლარს შეადგენს) და შესაძლებელია ეთხოვოს მუნიციპალიტეტს საკუთარი ბიუჯეტიდან მისი გამოყოფა.

.....

გადაწყვიტეს:

ეთხოვოს ქარელის მუნიციპალიტეტს საკუთარი საბიუჯეტო სახსრებიდან სოფელ დირბში 21 ოჯახისათვის და სოფელ თამარაშენში 5 ოჯახისათვის ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის მიზნით 200 ლარის გამოყოფა.

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფლებში მცხოვრები ოჯახების გაზით გამრიცხველიანების საკითხის განხილვა.

.....

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კომისის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სოფელ რუხში და სოფელ რიყეში უკვე დასრულებულია დაქსელვითი სამუშაოები და გამრიცხველიანების საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იქ მცხოვრებმა ოჯახებმაც ისარგებლონ იგივე შეღავათებით რითაც ისარგებლეს სხვა სოფლებში მცხოვრებმა ოჯახებმა, ანუ მათი გამრიცხველიანებაც მოხდეს უფასოდ. სოფელი ტყაია არაა გაზიფიცირებული და შესაბამისად საჭიროა იქაც შესაბამისი სამუშაოების განხორციელება.

.....

გადაწყვიტეს:

1. ეთხოვოს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაიაში გაზიფიცირების საკითხის განხილვა.
2. ეთხოვოს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციის წარმოდგენა ზუგიდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში და სოფელ რიყეში აბონენტების დაერთებასთან და მათ გამრიცხველიანებასთან დაკავშირებული

ხარჯების წარმოდგენა, რათა კომისიამ შემდგომში იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე.

3. **მოსახლეობისათვის ალტერნატიული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების შეთავაზების საკითხის განხილვა**

.....

გადაწყვიტეს:

გადაწყდა, რომ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები დაადგენენ თითოეულ მუნიციპალიტეტში შესულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქცეული არსებული კერძო საკუთრებების ფართობს და მოცემულ ინფორმაციას წარუდგენენ კომისიის სამდივნოს.

4. **დუშეთის მუნიციპალიტეტში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის შეშით და ხის მასალით უზრუნველყოფა**

.....

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა და საქართველოს პარლამენტის წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა კომისიას მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფლებში მოსახლეობა ვერ სარგებლობს ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის მიზნით შეშით, 200 ლარიანი ვაუჩერული დახმარებით და ასევე სამშენებლო მიზნებისათვის შესაბამისი ხის მასალით.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი იქნა საქართელოს სახალხო დამცველის მომართვა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გამყოფი ხაზის სოფელ ხურჩასა და სოფელ განმუხურში და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფელ წყოუშისა და სოფელ ფახულანის მოსახლეობისათვის, ზამთრის პერიოდში, გათბობის უზრუნველყოფის მიზნით დახმარების გაწევის საკითხი.

.....

გადაწყვიტეს:

ეთხოვოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დუშეთის, ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად განიხილოს ტყის ფონდით სარგებლობის საკითხი.

ქეთევან ციხელაშვილი — სხდომის თავმჯდომარე

გიორგი თუმანიშვილი — კომისიის სხდომის მდივანი